



შენაბამისთვის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიძე

29 ივლისი 2019 წელი

N 40/36

ეგზ.: N1

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა
და რეგულირების საკითხების
უწყებათაშორისი სისტემური
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები 3

შემაჯამებელი მიმოხილვა 4

შესავალი 9

აუდიტის მასშტაბი 9

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა..... 10

აუდიტორის პასუხისმგებლობა 11

აუდიტის საგანი 11

აუდიტის კრიტერიუმები 11

ზოგადი ინფორმაცია 13

აუდიტის მიგნებები 14

1. სახელმწიფო ავტოპარკის მართვის რეგულირება 14

1.1 ავტოპარკის შეუთანხმებელი ოპტიმიზაციის გეგმები..... 14

1.1.1 ფუნქციურად გაუმიჯნავი ავტომობილები..... 14

1.1.2 დადგენილებასთან შეუსაბამო ავტომობილების რიცხოვნობა 16

2. ავტომობილების შესყიდვები..... 17

2.1 ავტომობილების შესყიდვისას ტექნიკური მოთხოვნების დაუცველობა 17

2.2 N121 დადგენილება არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვის შესაძლებლობას..... 19

2.3 N121 დადგენილება ავტომობილების შეძენამდე არ ითვალისწინებს ხარჯეფექტურობის ანალიზს 22

3. ავტოპარკის მართვის კონტროლის სისტემა 22

3.1 დაუსაბუთებლად განსაზღვრული საწვავის ლიმიტები..... 23

3.2 ავტომანქანის საწვავით გამართვისას გამოვლენილი ნაკლოვანებები 24

3.3 განპიროვნებული ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები 26

3.4 სამორიგეო ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები 27

3.5 თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე გაწეული საწვავის ხარჯის ნაკლოვანებები 28

დანართები..... 30

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

მთავრობის დადგენილება – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;

სახელმწიფო კომისია – საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილების საფუძველზე შექმნილი სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია;

არაკლასიფიცირებული ავტომობილი – სახელმწიფო ავტოპარკში მყოფი ავტომობილები, რომელთა სარგებლობის ფორმა ორგანიზაციების მიერ ვერ იქნა განმარტებული ან განმარტებულია იმგვარად, რომ ვერ ხდება მათი იდენტიფიცირება მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სარგებლობის ფორმებად;

აგაი სისტემა – ავტომანქანის საწვავით გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა;

მოქმედი ავტომობილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაშვებით, მოქმედად მიჩნეულია ავტომანქანა, თუ წლის განმავლობაში მასზე გაწეულია 250 ლარზე მეტი ოდენობის საწვავის ხარჯი;

პირადი ავტომობილები – თანამშრომლების საკუთრებაში მყოფი ავტომობილები;

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ზღვრული ფლობის ღირებულება – ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 100 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლოატაციით გამოწვეული საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით;

ადმინისტრაციული ხელისუფლების დაწესებულება – სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მათ სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო.

ხარჯსარგებლიანობის ანალიზი (Cost-benefit analysis) – ხარჯსარგებლიანობის ანალიზი (CBA) არის სისტემური მიდგომა ალტერნატივებს შორის უპირატესობებისა და სუსტი მხარეების შესაფასებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი საშუალებას იძლევა, დასახული მიზნების მისაღწევად განისაზღვროს ალტერნატივებს შორის მონეტარულად შეფასებული ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი, რომელიც 2017 წელს მოიცავს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ორგანიზაციის აუდიტების შედეგად, სისტემატურად ვლინდებოდა ავტოპარკთან დაკავშირებით გარკვეული სახის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც წლების განმავლობაში ვერ ხდებოდა. სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის და ხარჯების შემცირების მიზნით, 2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეესწავლა მთავრობის N121 დადგენილების ამოქმედების შემდგომ სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები.

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა:

- /) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- /) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- /) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- /) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- /) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური.

ასევე აუდიტის ობიექტებია ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები, რომელთა საერთო რაოდენობამ, ჯამში 34 (ორგანიზაციების სრული ჩამონათვალი იხ. N1 დანართში) შეადგინა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი მიგნებები და ნაკლოვანებები:

ოპტიმიზაციის გეგმები არ არის დამტკიცებული

2014 წელს¹ სახელმწიფო უწყებებს დაევალიათ ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმების შედგენა და სახელმწიფო კომისიისთვის წარდგენა,² რაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც არ არის დამტკიცებული. შედეგად, მთავრობის N121 დადგენილების უმთავრესი მიზანი, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაცია მიღწეული არ არის.

ავტომობილები ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად არ არის კლასიფიცირებული

მთავრობის დადგენილებით,³ სახელმწიფო ავტოპარკი სარგებლობის ფორმირების მიხედვით იყოფა განპიროვნებულ და სამორიგეო ფუნქციის მქონე ავტომობილებად. გარდა ამისა, ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სპეციალიზებული და ოპერატიული დანიშნულების ავტომობილები.

შესწავლილი 4,052 ერთეული ავტომობილიდან, 1,879-ს დადგენილებით განსაზღვრული სარგებლობის ფორმებიდან (განპიროვნებული, სამორიგეო, ოპერატიული, სპეციალური დანიშნულების), კლასიფიკაციის არც ერთი ფორმა არ აქვს მინიჭებული.

¹ კომისიის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას განმეორებით დაევალია ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენა 2018 წლის 25 აპრილამდე.

² აუდიტის ობიექტებმა ოპტიმიზაციის გეგმები კომისიას წარუდგინეს დადგენილ ვადებში, გარდა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისა.

³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

სარგებლობის ფორმის განუსაზღვრელობის გამო, აღნიშნულ ავტომობილებზე მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების გავრცელება არ ხორციელდება, რაც ხელს უშლის დადგენილებით განსაზღვრული მიზნის, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის მიღწევას.

დადგენილებით განსაზღვრულზე მეტი ავტომობილების რიცხოვნობა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით,⁴ თითოეული დაწესებულებისთვის განისაზღვრა განპიროვნებული ავტომობილებით მოსარგებლე თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და სამორიგეო ავტომობილების ზღვრული ოდენობები, შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში –1 (ერთი) სამორიგეო ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე – დამატებით 1 (ერთი) ავტომობილი.

შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან 14-ში ავტომობილების რაოდენობა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულს 401 ერთეულით აღემატება, რითაც არ არის გათვალისწინებული მთავრობის დადგენილების მოთხოვნები.

დადგენილზე მეტი რაოდენობის და არაკლასიფიცირებული ავტოპარკი იძლევა შესაძლებლობას, რომ სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობდეს ისეთი თანამშრომელი, რომელსაც თანამდებობრივად არ ეკუთვნის სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობა.

ავტომობილების შესყიდვისას ტექნიკური მოთხოვნების დაუცველობა

მთავრობის დადგენილების მიხედვით, ავტომობილები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად და სპეციალიზებული კლასის ავტომობილებად.⁵ თითოეული კლასის ავტომობილისთვის მოცემულია ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა და განსაზღვრულია კონკრეტული კლასით სარგებლობის უფლების მქონე პირთა კატეგორია/თანამდებობა. ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციფიკაცია განსხვავებულია ამ წესით დადგენილი სტანდარტებისგან, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნული სპეციფიკაციის ამსახველი პარამეტრები წარუდგინოს სამთავრობო კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად.

დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, შეძენილი 274 ავტომობილიდან, მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დაცვით შესყიდულია მხოლოდ 59 ერთეული, ხოლო 5 (ხუთი) ორგანიზაციის მიერ შესყიდული 215 ავტომობილიდან 23 ერთეული შეძენილია მხოლოდ ავტომობილის ღირებულებით, ნაცვლად ზღვრული ფლობის ღირებულების გათვალისწინებისა,⁶ ხოლო 192 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილი (მათ შორის 96 ერთეული საგამოცდო, ხოლო დანარჩენი 96 დაცვის პოლიციის სპეციალიზებული), შეძენილია სამთავრობო კომისიასთან შეუთანხმებლად.

დადგენილება არ იძლევა ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვის შესაძლებლობას

მთავრობის დადგენილებაში მოცემული მოთხოვნები არ იძლევა ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტროავტომობილები) ავტომობილების შეძენის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს საწვავის და ავტომობილების საექსპლოატაციოდ

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება N121 „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

⁵ ავტომობილის კლასების მიხედვით მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების შესახებ იხ. დანართი N4.

⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება, მე-6 მუხლი, პუნქტი 5. (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ჯამი)

საჭირო ფინანსების ეკონომიურ ხარჯვას და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობას.

დადგენილება ავტომობილების შექენამდე არ ითვალისწინებს ხარჯეფექტურობის ანალიზს

მსოფლიოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების შექენამდე, ხორციელდება ხარჯსარგებლიანობის ანალიზი (Cost-benefit analysis). აღნიშნული პრინციპით საქმიანობა ეხმარება სახელმწიფო ავტოპარკის მართვის ორგანოებს, აკონტროლონ რამდენად დროულია და ხარჯეფექტურია ავტოპარკის განახლება.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ავტოპარკის მართვაში ხარჯეფექტურობის ანალიზის პრინციპებს და ის არც პრაქტიკაშია დანერგილი.

სამორიგეო ავტომობილების განკარგვისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

მთავრობის დადგენილებით,⁷ „სამორიგეო ავტომობილი – ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე“.

შესწავლილი 34 უწყებიდან – 1-ში სრულყოფილად, 1-ში ნაწილობრივ, ხოლო 32-ში არ ხდება სამორიგეო ავტომობილების დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლი, რაც სამორიგეო ავტომობილის არადანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აუდიტის შედეგად ავტომობილების მიერ მოხმარებულ საწვავთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- ✓ აუდიტით შესწავლილი 34 ორგანიზაციების მიერ, საწვავის ლიმიტების განსაზღვრის წინაპირობები არ არის ჩამოყალიბებული;
- ✓ შერჩეული 8 ორგანიზაციის 33 ავტომობილიდან, განხორციელდა 17 ერთეული ავტომობილის შემოწმება საწვავის ავზის ზუსტი ტევადობის დასადგენად, საიდანაც 8 შემთხვევაში დადასტურდა ავზის მონაცემებით დაფიქსირებული ოდენობის საწვავის ჩასხმის შესაძლებლობა, 9 შემთხვევაში ვერ დადასტურდა, ხოლო 16 ავტომობილი არ გამოცხადდა შესამოწმებლად;
- ✓ 12 ორგანიზაციაში გამოვლინდა ჯამში 875 შემთხვევა, როდესაც განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულებაში/მივლინებაში ყოფნის პერიოდში, ხდებოდა ავტომობილების ექსპლოატაცია. აუდიტის ობიექტიდან (შსს-ს სტრუქტურული ერთეულები) მიღებული განმარტებით, მოხელის შვებულებაში ყოფნისას ავტომობილით სარგებლობა აიხსნება სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო, ხშირად ხდება საჭირო, უმოკლეს დროში შვებულებისას მოხელის გამოძახება, თუმცა შვებულებაში მყოფი პირისთვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ავტომობილის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი და საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უფლებას დართავდა გარკვეულ პირთა წრეს – შვებულების პერიოდშიც ესარგებლა სამსახურებრივი ავტომობილით, არ არსებობს;
- ✓ შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან 6-ში, გარდა სამსახურებრივი მანქანებისა, კანონმდებლობის შესაბამისად, საწვავის ლიმიტი დაწესებული იყო თანამშრომლების პირად მანქანებზე. თუმცა,

⁷ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

დაუსაბუთებელია კონკრეტულ თანამშრომელზე საწვავის ლიმიტის საჭიროება და რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები;

ზემოთ აღწერილი საკითხებიდან გამომდინარე, შესწავლილ ობიექტებში ავტოპარკის საწვავით გამართვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მექანიზმები სუსტია და ასევე დახვეწას საჭიროებს აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმებიც. შესაბამისად, არსებობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1 – სახელმწიფო კომისიას

სახელმწიფო ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილების და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო კომისიამ შეიმუშაოს ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენის ერთგვაროვანი ფორმა და განსაზღვროს ოპტიმიზაციის პროცესის თითოეული ეტაპის დასრულების გონივრული ვადები, რაც ხელს შეუწყობს:

-)] ოპტიმიზაციის გეგმების დამტკიცებას;
-)] მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმალურ გადანაწილებას და კლასიფიცირებას;
-)] სამორიგეო და განპიროვნებული ავტომობილების ზღვრული ოდენობის კონტროლს.

რეკომენდაცია N2 – სახელმწიფო კომისიას

ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობის მიზნით, გადაიხედოს მთავრობის N121 დადგენილება და შევიდეს ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ალტერნატიულ ენერჯიაზე (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტრო სისტემის მქონე) მომუშავე ავტომობილების შესყიდვას.

რეკომენდაცია N3 – სახელმწიფო კომისიას

ავტოპარკის განახლების ოპტიმალური დროის განსაზღვრისა და ხარჯეფექტურობის დასაბუთების პრინციპების ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ კარგი საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, იმსჯელოს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ავტომობილის შეძენამდე განსაზღვრავს ხარჯეფექტურობის პრინციპებს.

რეკომენდაცია N4 – სახელმწიფო კომისიას

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, N121 დადგენილებით განსაზღვროს მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაავალდებულებს, შეიმუშაონ საწვავის ლიმიტის გაანგარიშების წესი, რაც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება თვის განმავლობაში ავტომობილის მიერ სამსახურებრივი დანიშნულებისთვის გასავლელ საშუალო მანძილსა და ავტომობილის წვის ნორმაზე.

რეკომენდაცია N5 – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

სახელმწიფო ავტოპარკზე საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შესყიდვის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები მომსახურე კომპანიის მიმართ:

-)] მომსახურე კომპანიის მიერ საწვავით გამართვისას მოხდეს ჩიპზე არსებული ინფორმაციის იდენტიფიცირება შესაბამის ავტომანქანასთან;

ს) აგას სისტემის მეშვეობით საწვავის შესყიდვისას მომწოდებელი კომპანიის მიერ ჩიპი (მეხსიერების ბარათი) მონტაჟდებოდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი მოხსნა და გადაადგილება მომსახურე კომპანიის ნებართვის გარეშე; ხელშეკრულებით დარეგულირდეს ზემოხსენებული მოთხოვნების შეუსრულებლობაზე შესაბამისი სანქციები (ჯარიმა).

რეკომენდაცია N6 – სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციებმა გარკვეული ინტენსივობით განახორციელონ ავტომობილებზე დამონტაჟებული ჩიპების მთლიანობის მონიტორინგი.

რეკომენდაცია N7 – სახელმწიფო კომისიას და ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

შვებულება-მივლინების პერიოდში თანამშრომლებზე განპიროვნებული ავტომობილების გამოყენების მიზანშეწონილობის კონტროლის მიზნით, ორგანიზაციებმა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო კოორდინაციით, დაწერონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს ქონებისა და სხვა რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. ასევე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმიანობის შეუფერხებლად და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განახორციელონ ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება, გარკვეული გამონაკლისების დასაშვებად, რომელიც შესაძლებელს გახდის და დაადგენს იმ პირთა წრეს, ვინც შეიძლება ისარგებლოს განპიროვნებული ავტომობილით სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების ან მივლინებაში ყოფნის მიუხედავად.

რეკომენდაცია N8 – სახელმწიფო კომისიას და ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

სამორიგეო ავტომობილების დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლის მექანიზმების დაწერვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს შემდეგი:

- ს) სამორიგეო ავტომობილების გამოყენება ყველა ორგანიზაციაში განხორციელდეს კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც იქნება დასაბუთებული და დადოკუმენტირებული;
- ს) ორგანიზაციებში განხორციელდეს სამორიგეო ავტომობილების გადაადგილების მონიტორინგი. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა;
- ს) მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესდეს შესაბამისი სანქციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ეფექტური აღსრულება.

რეკომენდაცია N9 – სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, თანამშრომლების პირად ავტომობილებზე საწვავი გაიცეს დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

შესავალი

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2017 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის და ხარჯების შემცირების მიზნით, 2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა მთავრობის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“, რომელმაც დაადგინა **ადმსრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის** მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილების ერთიანი სტანდარტი, განხორციელდა ავტომობილების კლასიფიკაციისა და კლასების განაწილება, განისაზღვრა მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება. **ამავე დადგენილებით, ეთხოვა** საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მუნიციპალიტეტებს, ავტომობილების შესყიდვისა და განაწილებისას ეხელმძღვანელათ ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით.

სახელმწიფო ავტოპარკი წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების მართვაში არსებული ავტომობილების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

ქვემოთ მოცემულ N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფო ავტოპარკში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული განპიროვნებული, სამორიგეო, ოპერატიული (საპატრულო, შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფების, უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და სხვა) და სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარების, სამაშველო, ინკასაციისმ საბადრაფო და სხვა) ავტომობილების რაოდენობის და მათზე გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N1.

დასახელება	რაოდენობა	ხარჯი
ადმსრულებელი ხელისუფლება ⁸	13,226	103,423,792
ორგანიზაციები, რომლებზეც არ გავრცელდა N121 დადგენილება ⁹	436	3,934,480
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ¹⁰	2,171	16,961,776
აჭარის ა/რ	337	3,617,028
აფხაზეთის ა/რ	19	313,316
სულ;	16,189	128,250,392

აუდიტის ობიექტებად შერჩევის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა **ის დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება**, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“.

⁸ ორგანიზაციები, რომლებზეც ვრცელდება N121 დადგენილება;

⁹ ორგანიზაციები, რომლებზეც არ გავრცელდა მთავრობის დადგენილება, წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საკანონმდებლო, სასამართლო, მარეგულირებელ და სხვა მთავრობისგან დამოუკიდებელ სუბიექტებს.

¹⁰ ინფორმაცია წარმოდგენილია 69 მუნიციპალიტეტის შესახებ.

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების უწყებათაშორისი აუდიტი

ასევე აუდიტის ობიექტებად შერჩევას გათვალისწინებულია სახელმწიფო ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდებში აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები და ავტომობილების რაოდენობა, რათა აუდიტორული პროცედურებით განხორციელებულიყო სახელმწიფო ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილის შესწავლა.

აუდიტის ობიექტებს წარმოადგენენ:

- ┌ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ┌ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ┌ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ┌ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ┌ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური.

ასევე აუდიტის ობიექტებია ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები, რაც ერთობლივად 34 ერთეულს შეადგენს (ორგანიზაციების სრული ჩამონათვალი იხ. დანართ N1-ში).

აღსანიშნავია, რომ მთავრობის N121 დადგენილება ვრცელდებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების 13,226 ავტომობილზე. აუდიტის ობიექტებად განსაზღვრული 34 ორგანიზაცია ფლობდა ჯამში 8,215 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, საიდანაც 4,163¹¹ ერთეული მიეკუთვნებოდა ოპერატიულ და სპეციალური დანიშნულების ტექნიკას.¹²

ქვემოთ მოცემულ N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია შესწავლილი აუდიტის ობიექტების საკუთრებაში არსებული ავტომობილების რაოდენობების შესახებ (ოპერატიულ და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების გარდა):

ცხრილი N2.

აუდიტის ობიექტები	ორგანიზაციების რაოდენობა	ავტომობილების რაოდენობა
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	7	2,914
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5	187
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	16	495
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	5	173
სსდ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური	1	283
სულ:	34	4,052

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტ(ებ)ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის

¹¹ ძირითადად მოიცავს სასწრაფო დახმარების, საპატრულო პოლიციის, სამაშველო სამსახურის და სხვა მსგავსი დანიშნულების ავტომობილებს.

¹² ოპერატიულ ავტომობილებსა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკაზე, არ ვრცელდება მთავრობის N121 დადგენილება.

იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი წარმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების მიმართულებით ორგანიზაციების საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია აუდიტის საგანთან დაკავშირებით მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- J სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმის შედგენა, დამტკიცება და შესრულება;
- J ორგანიზაციებში არსებული ავტომობილების ფუნქციურად გამიჯვნა და რიცხოვნობა;
- J ავტოსატრანსპორტო საშუალების მიზნობრივად გამოყენება;
- J სახელმწიფო ავტომობილების შესყიდვის პროცესი;
- J ორგანიზაციებში საწვავის ლიმიტების განსაზღვრა;
- J ავტომობილების საწვავით გამართვის პროცესი;
- J განპიროვნებული ავტომობილების ექსპლოატაცია;
- J თანამშრომელთა პირად ავტომობილებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა.

აუდიტის კრიტერიუმები

- J საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- J საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილება „სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“;
- J საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- J საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“;
- J საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- J საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

ქვემოთ ჩამოთვლილია აუდიტის საგნიდან და მასშტაბიდან გამომდინარე დაგეგმილი და განხორციელებული აუდიტორული პროცედურები:

1. აუდიტის მიგნებები დაფუძნებულია აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც მოიცავდა მონაცემებს ავტომობილების რაოდენობის, სარგებლობის ფორმების და წლის მანძილზე მათზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული ინფორმაცია დამუშავდა და შეუდარდა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს.
2. აუდიტის ობიექტების მიერ შევსებულ იქნა კითხვარი,¹³ რომელიც გამოვიყენეთ ორგანიზაციებში დანერგილი კონტროლის გარემოს შესასწავლად და რისკების შესაფასებლად.
3. ავტომობილების საწვავის ავზის საპასპორტო მონაცემი შეუდარდა ავტომობილებში ერთჯერადად ჩასხმული საწვავის მოცულობებს.
4. გაანალიზდა დადგენილი საწვავის ლიმიტების გონივრულობა.
5. შემოწმდა თანამშრომლების შვებულება-მივლინების პერიოდში სახელმწიფო ავტომობილებით სარგებლობის შემთხვევები.
6. ავტომობილების საწვავით გამართვის სისტემის (აგაი) შემოწმების მიზნით, შეირჩა სხვადასხვა ორგანიზაციების ავტომობილები და მოხდა მათზე დამონტაჟებული მოწყობილობების ვიზუალური დათვალიერება, ასევე შემოწმდა პირადი ავტომობილების საწვავით გამართვის მიზანშეწონილობა.
7. გაანალიზდა შიდა წვის ძრავაზე, ჰიბრიდულ სისტემასა და ელექტროავტომობილებზე გასაწევი ხარჯების და შესაძლო ეკონომიის საკითხები.
8. ავტომობილების შესყიდვისას შემოწმდა, განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები და მათი რაოდენობა რამდენად შეესაბამება კანონმდებლობას.
9. შემოწმდა სამორიგეო და განპიროვნებული ავტომობილების ექსპლოატაციის მიზანშეწონილობა.

¹³ იხ. დანართი N2.

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით, შეიქმნა სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ერთგვაროვანი სტანდარტის შემოღების მიზნით, კომისიას დაევალა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება, რომლის მიზანსაც სახელმწიფო ავტოპარკის მართვის საკითხების დარეგულირება, უკვე არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაცია და შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა წარმოადგენდა. 2014 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება,¹⁴ რომლითაც დადგინდა ერთიანი სტანდარტი აღმასრულებელი ხელისუფლების ავტომობილების კლასიფიკაციის, მათი განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილების, კლასების და ავტომობილების შესყიდვა/ჩანაცვლების საკითხების მოსაწესრიგებლად, ხოლო არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაციის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას დაევალა ოპტიმიზაციის გეგმების შემუშავება და კომისიისთვის წარდგენა, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა შეეთანხმებინა და დაემტკიცებინა აღნიშნული ოპტიმიზაციის გეგმები.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის N121 დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებზე, ხოლო სახელმწიფო ავტოპარკის დანარჩენი ნაწილის განმკარგველ სახელმწიფო უწყებებს რეგულაციის პრინციპების გათვალისწინება ეთხოვათ რეკომენდაციის¹⁵ სახით. თუმცა 2017 წლის მდგომარეობით, აღნიშნული რეკომენდაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებსა და 62 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულიდან 47-ს არ გაუთვალისწინებია.

აუდიტის ობიექტების ავტოპარკზე გაწეული ხარჯები

ქვემოთ მოცემულ N3 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია აუდიტის ფარგლებში შესწავლილი ავტომობილების რაოდენობისა და მათზე გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N3.

დასახელება	ავტომობილების რაოდენობა	სულ ხარჯი	საწვავის ხარჯი	%	შეკეთებისა და ექსპლ. ხარჯი	%
მოქმედი	2,909	25,923,776	14,485,906	56%	11,437,870	44%
არამოქმედი	1,043	305,633	8,618	3%	297,015	97%
სულ:	4,052	26,229,409	14,494,524	55%	11,734,885	45%

მოქმედი ავტომობილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაშვებით, მოქმედად მიჩნეულია ავტომანქანა, თუ წლის განმავლობაში მასზე გაწეულია 250 ლარზე მეტი საწვავის ხარჯი.

საწვავის ხარჯი მოიცავს ოპერატიული ავტომობილების 2,810,960 ლარის და სპეციალიზებული ავტომობილების 461,450 ლარის ოდენობის ხარჯებს.

შეკეთებისა და ექსპლოატაციის ხარჯი მოიცავს ოპერატიული ავტომობილების 3,231,205 ლარის და სპეციალიზებული ავტომობილების 354,439 ლარის ოდენობის ხარჯებს.

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“.
¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება, მე-2 მუხლი.

აუდიტის მიგნებები

1. სახელმწიფო ავტოპარკის მართვის რეგულირება

სახელმწიფო ავტოპარკის მართვის და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, 2014 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა საჯარო უწყებებში ავტომობილების რაოდენობის გაანგარიშების, გადანაწილებისა და შესყიდვის წესი, რომლის მოთხოვნებიც ვრცელდება მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებზე.

1.1 ავტოპარკის შეუთანხმებელი ოპტიმიზაციის გეგმები

მთავრობის დადგენილებით უწყებებს დაევალოთ, შეთანხმებისა და დამტკიცების მიზნით ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმების წარდგენა სახელმწიფო კომისიისთვის 2014 წლის 1 აპრილამდე, ხოლო ოპერატიულ-სამმართველო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს – 2014 წლის 1 ივლისამდე.

ოპტიმიზაციის გეგმა მოიცავს ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილების რაოდენობის, მათი ფუნქციური განაწილებისა და საშტატო რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციას. კომისიის მიერ გეგმის განხილვის მიზანს წარმოადგენდა დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, დაწესებულებებში არსებული ავტომობილების რიცხოვნობის და მათი ფუნქციური გადანაწილების (განპიროვნებული, სამორიგეო, სპეციალიზებული, ოპერატიული) განსაზღვრა.

აუდიტის ობიექტებმა ოპტიმიზაციის გეგმები კომისიას წარუდგინეს დადგენილ ვადებში, გარდა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისა, რომელსაც აუდიტის დასრულების მომენტისთვის არ გაუგზავნია შესაბამისი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ უწყებებს, რომლებმაც კომისიას წარუდგინეს ოპტიმიზაციის გეგმები, სახელმწიფო კომისიისგან წერილობითი პასუხი, რომელიც ოპტიმიზაციის გეგმას დაადასტურებდა ან შესაბამის შენიშვნებს გასცემდა, 2018 წლის ბოლომდე არ მიუღიათ, ამასთანავე, დადგენილებით ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების ვადები არ იყო განსაზღვრული. აუდიტის პროცესში, აუდიტის ჯგუფის და სახელმწიფო კომისიის შეხვედრის შემდეგ, კომისიის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას განმეორებით დაევა¹⁶ ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენა 2018 წლის 25 აპრილამდე.

კომისიის მიერ ოპტიმიზაციის გეგმები აუდიტის დასრულების პერიოდშიც არ იყო დამტკიცებული, რის გამოც, ავტომობილებისთვის სტატუსის მინიჭება და მათი რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდებოდა ორგანიზაციების ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების მიზანი სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაცია და შედეგად, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვა, მიღწეული არ არის.

1.1.1 ფუნქციურად გაუმიჯნავი ავტომობილები

მთავრობის დადგენილებით,¹⁷ სახელმწიფო ავტოპარკი იყოფა განპიროვნებულ და სამორიგეო ფუნქციის მქონე ავტომობილებად:

1) **განპიროვნებული ავტომობილი** – ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება კონკრეტული დაწესებულების ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე;

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის N157 დადგენილება.

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

სამორიგეო ავტომობილი – ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე.

გარდა ამისა, ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ავტომობილების სარგებლობის შემდეგი ფორმები:

სპეციალიზებული – კომისიის გადაწყვეტილებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებას შესაძლოა მიენიჭოს სპეციალიზებული კლასის სტატუსი და იგი გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით, კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად (მაგალითად: სასწრაფო, მოძრავი ლაბორატორია და სხვ.);

ოპერატიული – „ოპერატიული სამმებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების ნაწილში.

მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 4,052 ავტომობილიდან, 1,879 (46%) მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ არცერთ ზემოთ მითითებულ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. შესაბამისად, გაურკვეველია 1,879 ერთეული ავტომობილის განკარგვის მიზნობრიობა.

ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში წარმოდგენილია აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია 2017 წლის განმავლობაში ავტოპარკის ფუნქციური გადანაწილების შესახებ:

ცხრილი N4.

სარგებლობის ფორმა	რაოდენობა	რაოდ. % წილი	ხარჯი	ხარჯის % წილი
განპიროვნებული	735	18%	6,310,041.04	24%
სამორიგეო	735	18%	5,118,342.79	20%
ოპერატიული	456 ¹⁸	11%	6,042,165.60	23%
სპეციალიზებული	247 ¹⁹	6%	837,016.22	3%
არაკლასიფიცირებული	1,879	46%	7,921,844.34	30%
სულ:	4,052	100%	26,229,410	100%

შესწავლილი 34 ობიექტიდან, გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სუბიექტებისა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა, არც ერთ შემთხვევაში არ არის შედგენილი რაიმე ტიპის დოკუმენტი, რაც აუდიტის ობიექტების მიერ ავტომობილების ფუნქციურ გადანაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობას დაადასტურებდა. შესაბამისად, აუდიტის ობიექტებს აქვთ შესაძლებლობა მარტივად შეცვალონ ავტოპარკის ფუნქციური გადანაწილების მონაცემები, რაც აუდიტორებს ზღუდავს, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ დასაბუთებული რწმუნება ავტომობილების ფუნქციური გადანაწილების სისწორეზე.

ქვემოთ მოცემულ N5 ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2016 და 2017 წლებში ბალანსზე რიცხული სამორიგეო და განპიროვნებული ფუნქციის მქონე ავტომობილების შესახებ:

¹⁸ მოიცავს დაცვის პოლიციის და ფინ. სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ოპერატიულ ავტომობილებს

¹⁹ ძირითადად მოიცავს შსს მომსახურების სააგენტოს სპეციალიზებულ (საგამოცდო) ავტომობილებს

ცხრილი N5.

ფუნქციური დანიშნულება	2016	2017
განპიროვნებული	630	214
სამორიგეო	583	27
სულ:	1,213	241
საერთო რიცხოვნობა	1,846	1,807

როგორც N5 ცხრილიდან ჩანს, იმ ფონზე, როცა ავტომობილების საერთო რიცხოვნობა ფაქტობრივად არ შეცვლილა (39 ერთეული) 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც სამორიგეო, ასევე განპიროვნებული ფუნქციის მქონე ავტომობილების ოდენობები.

სარგებლობის ფორმის განუსაზღვრელობის გამო, აღნიშნულ ავტომობილებზე მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების გავრცელება არ ხორციელდება, რაც ხელს უშლის დადგენილებით განსაზღვრული მიზნის, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის მიღწევას.

1.1.2 დადგენილებასთან შეუსაბამო ავტომობილების რიცხოვნობა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით,²⁰ თითოეული დაწესებულებისთვის განისაზღვრა განპიროვნებული ავტომობილებით მოსარგებლე თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და სამორიგეო ავტომობილების ზღვრული ოდენობები, რომელიც განისაზღვრება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში – ერთი სამორიგეო ავტომობილი, ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე, დამატებით – ერთი ავტომობილი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 34 ორგანიზაციიდან 14-ში არ არის დაცული საქართველოს მთავრობის აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს სამორიგეო და განპიროვნებული ავტომობილების ზღვრულ ოდენობებს. ჯამში მათი ოდენობა დადგენილებით განსაზღვრულს აღემატება 401 ერთეულით (327 განპიროვნებული და 74 სამორიგეო).²¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესწავლილი ავტოპარკიდან 1,879-ს²² (46%) არ აქვს მინიჭებული ფუნქციური დანიშნულების სტატუსი (სამორიგეო, განპიროვნებული) დადგენილების მოთხოვნების მიხედვით, ხოლო ზღვრულ ოდენობაზე მეტია 401 (10%) ავტომობილი, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების მიღმა შემოწმებული ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიზანი – ავტოპარკის ეფექტიანი მართვა და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა – მიღწეული არ არის, ვინაიდან:

- J 2014 წლიდან 2018 წლის ბოლომდე ოპტიმიზაციის გეგმები არ იყო დამტკიცებული;
- J შესწავლილი ავტოპარკის 46% არ არის კლასიფიცირებული დადგენილების შესაბამისად;
- J შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან 14-ში სამორიგეო და განპიროვნებული ავტომანქანების რაოდენობა 10%-ით აღემატება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულს.

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N121 „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

²¹ დეტალურად ინფორმაცია მოცემულია დანართებში N5 და N6

²² შსს-ს ცენტრალური აპარატის შესწავლილი 1807 ა/მ-დან, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით V კატეგორიის დაზიანებით (არამუშა) იყო – 281 ა/მ, ხოლო VI კატეგორიის დაზიანებით (არამუშა) – 116 ა/მ, სულ: 397 ა/მ.

დადგენილზე მეტი რაოდენობის და არაკლასიფიცირებული ავტოპარკი იძლევა შესაძლებლობას, რომ სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობდეს ისეთი თანამშრომელი, რომელსაც თანამდებობრივად არ ეკუთვნის სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობა, რაც წარმოშობს არაეკონომიური ხარჯების გაწევის რისკს.

რეკომენდაცია – სახელმწიფო კომისიას

სახელმწიფო ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილების და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო კომისიამ შეიმუშაოს ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენის ერთგვაროვანი ფორმა და განსაზღვროს ოპტიმიზაციის პროცესის თითოეული ეტაპის დასრულების გონივრული ვადები, რაც ხელს შეუწყობს:

- 1) ოპტიმიზაციის გეგმების დამტკიცებას;
- 2) მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმალურ გადანაწილებას და კლასიფიცირებას;
- 3) სამორიგო და განპიროვნებული ავტომობილების ზღვრული ოდენობის კონტროლს.

2. ავტომობილების შესყიდვები

2.1 ავტომობილების შესყიდვისას ტექნიკური მოთხოვნების დაუცველობა

მთავრობის დადგენილების მიხედვით, ავტომობილები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად და სპეციალიზებული კლასის ავტომობილებად.²³ თითოეული კლასის ავტომობილისთვის მოცემულია ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა და განსაზღვრულია კონკრეტული კლასით სარგებლობის უფლების მქონე პირთა კატეგორია/თანამდებობა.

ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეული კლასისთვის, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული შესყიდვის დროს. დაუმუშავებელია შესყიდვის დოკუმენტაციაში დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა.

ასევე, N121 დადგენილებით იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციფიკაცია განსხვავებულია ამ წესით დადგენილი სტანდარტებისგან, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნული სპეციფიკაციის ამსახველი პარამეტრები წარუდგინოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად.

ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 100 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლოატაციით გამოწვეული საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით. 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

- ა) ავტომობილის შესყიდვის ფასი;
- ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;
- გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;
- დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;
- ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;
- ვ) კონდინციონერის ფილტრის ხარჯი;
- ზ) ანთების სანთლები;
- თ) ძრავის ღვედი;

²³ ავტომობილის კლასების მიხედვით მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების შესახებ იხ. დანართი N4.

ი) საწვავის ხარჯი საპასპორტო მონაცემებით.²⁴

დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, 34-დან 13 ორგანიზაციის მიერ შესყიდულია 1,213 ერთეული ავტომობილი, საიდანაც 939 ოპერატიული დანიშნულების ავტომობილი იყო და მათზე არ ვრცელდებოდა აღნიშნული რეგულაციები, ხოლო დანარჩენი 274-დან, მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დაცვით შესყიდულია მხოლოდ 59 ერთეული, ხოლო 5 (ხუთი) ორგანიზაციის მიერ შესყიდული 215 ავტომობილიდან 23 ერთეული შემენილია მხოლოდ ავტომობილის ღირებულებით, ნაცვლად ზღვრული ფლობის ღირებულების გათვალისწინებისა (ავტომანქანების, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ჯამი²⁵), ხოლო 192 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილი (მათ შორის 96 ერთეული საგამოცდო, ხოლო დანარჩენი 96 დაცვის პოლიციის სპეციალიზებული), შემენილია სამთავრობო კომისიასთან შეუთანხმებლად.

ქვემოთ მოცემულ N6 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ და ამავე დადგენილების მოთხოვნათა დაუცველად შესყიდული ავტომობილების შესახებ:

ცხრილი N6.

ორგანიზაციის დასახელება	დადგენილების ამოქმედების შემდეგ შესყიდული ა/მ რაოდენობა	დადგენილების მოთხოვნათა დაუცველად შესყიდული ა/მ რაოდენობა
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	1	-
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1	-
სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	10	-
სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5	5
სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო	3	-
სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი	7	2
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	10	3
სსიპ – „112“	4	-
სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	974	109 ²⁶
სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	172	96 ²⁷
სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	14	-
სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	11	-
სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	1	-
სულ:	1,213	215

გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციების გარკვეულ ნაწილს ავტომობილების შესყიდვა განხორციელებული აქვთ ზღვრული ფლობის ღირებულების გათვალისწინებლად და ნაწილს სამთავრობო კომისიასთან შეუთანხმებლად, გაურკვეველია, მიღწეულ იქნა თუ არა დადგენილებით განსაზღვრული ავტომობილების საექსპლოატაციო ხარჯების ოპტიმიზაციის ძირითადი პრინციპები.

²⁴ ავტომანქანის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯის დაანგარიშება ხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 1-ის.;

²⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება, მე-6 მუხლი, პუნქტი 5.

²⁶ სსიპ - მომსახურების სააგენტოს განმარტებით, 109 ერთეული ავტომობილიდან 96 ერთეული შემენილი იქნა საგამოცდო მიზნებისთვის;

²⁷ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შემენილი ავტომობილებიდან 96-ივე წარმოადგენდა სპეციალიზებული ტიპის ავტომობილებს.

2.2 N121 დადგენილება არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვის შესაძლებლობას

მთავრობის დადგენილება ავტომობილების შეძენისას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელთა გაზრდაც შესყიდვის დოკუმენტაციაში დაუშვებელია. აღნიშნული წესის თანახმად, დადგენილია ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებები 100 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლოატაციით გამოწვეული ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით.

ქვემოთ მოცემულ N7 ცხრილში წარმოდგენილია ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებები (აშშ დოლარი) კლასების მიხედვით:

ცხრილი N7.

დანიშნულება	კლასი	მსუბუქი	მაღალი გამავლობის
ზოგადი დანიშნულება	IV	15400	-
ზოგადი დანიშნულება/განპიროვნებული	III	16800	24300
განპიროვნებული (საშუალო რგოლის მენეჯმენტი)	II	21000	26500
განპიროვნებული (მაღალი რგოლის მენეჯმენტი)	I	31500	47000

ასოცირების ხელშეკრულების 293-ე მუხლი²⁸ ითვალისწინებს მდგრადი ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარებას, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა ტიპს, განსაკუთრებით, ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების უზრუნველყოფისა და ტრანსპორტის სფეროში აღნიშნული საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ დადგენილების მიხედვით, მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები არც ერთ შემთხვევაში არ იძლევა ალტერნატიული ენერჯით მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტრო ავტომობილები) შეძენის შესაძლებლობას, როგორც ტექნიკური მახასიათებლების თვალსაზრისით,²⁹ ასევე ღირებულებიდან გამომდინარე, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვა ხარჯეფექტური ხდება 100 ათას კილომეტრზე მეტი მანძილის გავლის შემდეგ, რაც მაგალითის სახით განხილულია ქვემოთ. აუდიტის მიმდინარეობისას გაკეთდა ანალიზი, სადაც გამოიკვეთა, რომ ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების შედარებით მაღალი ფასი კომპენსირდება სარგებლობაში ყოფნისას ნაკლები საექსპლოატაციო დანახარჯებით (საწვავ-საპოხი მასალა). ასევე ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების ფლობის შემთხვევაში იკლებს გამონაბოლქვის შედეგად გამოწვეული ზიანის შესამცირებლად გასაწევი ხარჯები.

ჰიბრიდული და ელექტროძრავიანი ავტომობილების გამოყენებით მისაღები ეკონომია

ავტომობილების შესყიდვის და საწვავის ხარჯების შედარებისთვის გამოყენებულია ავტომობილები, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები დადგენილების მიხედვით მოცემულ ერთი და იმავე კლასის მსუბუქი ავტომობილებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ხარჯების შედარებისას გამოყენებულია წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მეთოდი, სადაც გამოყენებულია შემდეგი დაშვებები:

1) ავტომობილის ფასები და წვის ნორმა აღებულია მწარმოებლების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან;³⁰

²⁸ ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, თავი I, ტრანსპორტი.
²⁹ ტექნიკური მახასიათებლებში მოთხოვნილია მექანიკური გადაცემათა კოლოფი.
³⁰ <https://www.toyota.ge/new-cars/rav4/index/specs>, <http://hyundai.ge/Go-Electric-ioniq>

ქ) 2018 წლის აშშ დოლარის საშუალო კურსი (2.53) ლართან მიმართებით – გაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით;

ქ) წლიური დასახარჯი საწვავის ოდენობა – გაანგარიშებულია წლის განმავლობაში აუდიტის ობიექტების ანალოგიური ავტომობილების მიერ საშუალოდ გავლილი მანძილის მიხედვით (საშუალოდ 30,000 კმ);

ქ) ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება 2.31 ლარი – გამოყენებულია 2018 წლის ოქტომბრის კონსოლიდირებული ტენდერის საწვავის ფასი;

ქ) საწვავის ფასის ინფლაცია³¹ 10% – აღებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსების წინა წლის ანალოგიურ ინდექსებთან შედარებით;

ქ) დისკონტირებისას გამოყენებულია ფულად და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი,³² 2018 წლის ოთხი კვარტლის საშუალო 9,07%.

ქ) ელექტრომობილის ხარჯები – ერთი დამუხტვა საჭიროებს 3.8 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას და საკმარისია 280 კილომეტრის გასავლელად, შესაბამისად, 27,000 კილომეტრის გასავლელად საჭირო 370 ლარის ღირებულების ელექტროენერგია;

ქ) ელექტროენერგიის ხარჯი – სემეკის დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“;

ქ) ავტოპარკში არსებული ავტომობილის ხარჯები – განპიროვნებული ავტომობილების საშუალო წვა – 11 ლიტრი 100 კმ-ზე, საშუალო წლიური გავლილი მანძილი – 27,000 კმ.

ქვემოთ მოცემულ N10 ცხრილში წარმოდგენილია შედარება საწვავის ფასის ინფლაციის და ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით, შიდა წვის ძრავაზე მომუშავე ავტომობილების შედარება ჰიბრიდულ და ელექტროძრავის მქონე ავტომობილებთან. შედარება გაკეთებულია შემდეგი სამი სცენარით:

1. TOYOTA CAMRY (HYBRID LE) შედარებულია TOYOTA CAMRY (LE), სადაც გათვალისწინებულია ავტომობილების ღირებულება და მათ მიერ საშუალოდ გასავლელი მანძილისთვის საჭირო საწვავის ოდენობა.

2. TOYOTA RAV4 (HYBRID) შედარებულია TOYOTA RAV4 Prestige, სადაც ასევე გათვალისწინებულია ავტომობილების ღირებულება და მათ მიერ საშუალოდ გასავლელი მანძილისთვის საჭირო საწვავის ოდენობა.

3. ელექტროავტომობილის საშუალოდ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი, შედარებულია შესწავლილი ავტოპარკის საშუალოდ წლის განმავლობაში გავლილ (27,000 კმ) და 100 კილომეტრზე საშუალოდ გახარჯულ (11 ლიტრი – 100 კმ) საწვავის ოდენობასთან. აღსანიშნავია, რომ ავტომობილების ღირებულება არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ანალიზში, ვინაიდან ავტომობილების სპეციფიკაცია განსხვავებულია და ელექტრომობილების ზუსტი ანალოგია შიდა წვის ძრავიან ავტომობილებში არ მოიძებნება.

³¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo

³² <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების უწყებათაშორის აუდიტი

ცხრილი N8.

	წელი	0	1	2	3	4	5	6	7
1	TOYOTA CAMRY (HYBRID LE) სულ ხარჯის მიმდინარე ღირებულება	75,867	78,514	81,531	84,573	87,642	90,736	93,857	97,004
	TOYOTA CAMRY (LE) სულ ხარჯის მიმდინარე ღირებულება	65,626	71,394	77,212	83,079	88,997	94,965	100,983	107,053
	დანაზოგი ჰიბრიდული TOYOTA CAMRY-ს შეძენისას	(10,241)	(7,120)	(4,319)	(1,494)	1,355	4,228	7,126	10,049
2	TOYOTA RAV4 (HYBRID) სულ ხარჯის მიმდინარე ღირებულება	82,500	85,702	88,930	92,187	95,471	98,783	102,123	105,492
	RAV4 Prestige სულ ხარჯის მიმდინარე ღირებულება	77,300	82,636	88,017	93,444	98,918	104,438	110,005	115,620
	დანაზოგი ჰიბრიდული TOYOTA RAV4-ის შეძენისას	(5,200)	(3,066)	(913)	1,258	3,447	5,655	7,882	10,128
3	ელექტრომობილის საშუალო ხარჯი		339	650	935	1,197	1,437	1,656	1,858
	ავტომობილის საშუალო ხარჯი		6,290	12,387	18,303	24,045	29,618	35,027	40,276
	დანაზოგი ელექტრომობილის შეძენისას		5,951	11,736	17,368	22,848	28,182	33,371	38,418

როგორც N8 ცხრილიდან ჩანს, ჰიბრიდულ სისტემაზე მომუშავე ავტომობილების ექსპლოატაცია გაცილებით ეკონომიურია, ვიდრე მსგავსი მონაცემების მქონე შიდა წვის ძრავიანი ავტომობილები. სწორედ აღნიშნული ეკონომიის ხარჯზე, ჰიბრიდულ ძრავაზე მომუშავე TOYOTA CAMRY – 4 (ოთხი) წლის და TOYOTA RAV4 – 3 (სამი) წლის შემდგომ აკომპენსირებს ავტომობილების ფასთა შორის სხვაობას.

ელექტრომობილისა და შიდა წვის ძრავიანი ავტომობილების ანალიზის შემთხვევაში, ავტომობილის 7-წლიანი ექსპლოატაციის პირობებში, ერთ ავტომობილზე საშუალოდ 38,418 ლარის ოდენობის ეკონომიის მიღებაა შესაძლებელი.

გამონაბოლქვით გამოწვეული ზიანის შემცირება

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია გამონაბოლქვის მავნე ემისიის რაოდენობის და მასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება. ვინაიდან, ჰიბრიდულ სისტემაზე მომუშავე ავტომობილებისთვის საწვავის მოხმარება თითქმის ორჯერ ნაკლებია, შესაბამისი პროპორციით იკლებს ნახშირორჟანგის გამოყოფის მაჩვენებელი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობისა, ჰიბრიდული სისტემის მქონე ავტომობილებზე მოთხოვნის მატების პარალელურად, ჰიბრიდული ავტომობილების სარეალიზაციო ღირებულება მეორად ბაზარზე, აღემატება შიდა წვის ძრავის მქონე ავტომობილის ღირებულებას და ასევე ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების მზარდი ბაზრის პირობებში, მოსალოდნელია აღნიშნული ტიპის ავტომობილების ფასების კლება.

დასკვნა

მთავრობის დადგენილებაში მოცემული მოთხოვნები არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების შეძენის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს საწვავის და ზოგადად ავტომობილების საექსპლოატაციოდ საჭირო ფინანსების ეკონომიურ ხარჯვას და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სისტემების უზრუნველყოფის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია – სახელმწიფო კომისიას

ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობის მიზნით, გადაიხედოს მთავრობის N121 დადგენილება და შევიდეს ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ალტერნატიულ ენერჯიაზე (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტროსისტემის მქონე) მომუშავე ავტომობილების შესყიდვას.

2.3 N121 დადგენილება ავტომობილების შეძენამდე არ ითვალისწინებს ხარჯეფექტურობის ანალიზს

მსოფლიოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით,³³ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების შეძენამდე, ხორციელდება ხარჯსარგებლიანობის ანალიზი (Cost-benefit analysis). ძირითადად ხდება შესაძენი ავტომობილის ღირებულების შედარება იმავე ავტომობილის საიჯარო ხარჯთან, სადაც გაითვალისწინება ფულის დროითი ღირებულება (NPV). წაუგებლობის წერტილის (breakeven point) დადგენის ინდიკატორია ავტომობილის გარბენი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოითვალოს, შეძენილი ავტომობილი გავლილი მანძილის რა ნიშნულზე მიაღწევს წაუგებლობის წერტილს. აღნიშნული პრინციპის გამოყენება, ეხმარება სახელმწიფო ავტოპარკის მართვის ორგანოებს, აკონტროლონ რამდენად დროული და ხარჯეფექტურია ავტოპარკის განახლება.

საგულისხმოა, რომ N121 დადგენილება არ ავალდებულებს სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს ხარჯეფექტურობის ანალიზის იმგვარ ფორმას, რომელიც დაეფუძნებოდა ზემოთ აღწერილ პრინციპს. შესაბამისად, შესწავლილი ორგანიზაციებიდან არცერთს არ გააჩნია ავტომობილის შეძენის ხარჯეფექტურობის დასაბუთება, სადაც გამოითვლებოდა: შეძენილი ავტომობილი გავლილი მანძილის რა ნიშნულზე მიაღწევს წაუგებლობის წერტილს, სხვა ალტერნატივებთან შედარებით.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არც კანონმდებლობა ითვალისწინებს და არც პრაქტიკაშია დანერგილი სახელმწიფო ავტოპარკის მართვაში ხარჯეფექტურობის ანალიზის პრინციპები.

რეკომენდაცია სახელმწიფო კომისიას

ავტოპარკის განახლების ოპტიმალური დროის განსაზღვრისა და ხარჯეფექტურობის დასაბუთების პრინციპების ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ კარგი საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, იმსჯელოს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ავტომობილის შეძენამდე ავტოპარკით მოსარგებლე უწყებებს დაავალდებულებს ხარჯეფექტურობის პრინციპების გათვალისწინებას.

3. ავტოპარკის მართვის კონტროლის სისტემა

საჯარო სექტორში არ არსებობს მარეგულირებელი ნორმა, რომელიც დაავალდებულებს ორგანიზაციებს ავტოპარკის მართვის ეფექტური და ეკონომიური ფუნქციონირების მიზნით კონტროლის მექანიზმების დანერგვას, რაც მნიშვნელოვანია სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის.

შიდა კონტროლი მოიცავს 5 (ხუთი) ძირითად კომპონენტს:³⁴

-) კონტროლის გარემო;
-) რისკის მართვა;
-) კონტროლის ღონისძიებები;

³³ ნიდერლანდები –

<https://english.rvo.nl/sites/default/files/2013/12/Criteriadocument%20Heavy%20duty%20motor%20vehicles%20and%20mobile%20equipment.pdf>

გაერთიანებული სამეფო – <https://www.gov.uk/government/publications/sustainable-procurement-the-gbs-for-transport-vehicles/government-buying-standards-for-transport-2017>

ავსტრალია – https://www.procurepoint.nsw.gov.au/system/files/documents/dfsi_mvog_24102018_v2.1.pdf

³⁴ შიდა კონტროლის სახელმძღვანელო, <https://www.coso.org/Pages/ic.aspx>

-) ინფორმაცია და კომუნიკაცია;
-) სისტემის მონიტორინგი და შეფასება.

3.1 დაუსაბუთებლად განსაზღვრული საწვავის ლიმიტები

მთავრობის დადგენილებით და/ან სხვა ნორმატიული აქტებით სახელმწიფო ავტომობილებზე საწვავის ლიმიტების განსაზღვრის ერთიანი წესი დადგენილი არ არის. ასევე, შესწავლილი ორგანიზაციებიდან არცერთს არ აქვს შემუშავებული საწვავის ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის საფუძვლებისა და კრიტერიუმების დადგენის შიდა დოკუმენტი. მოწოდებული ინფორმაციით, ლიმიტის დადგენა ხდება უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით, წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

დანერგული საუკეთესო პრაქტიკით, საწვავის ლიმიტის განსაზღვრა კონკრეტულ ავტომობილზე უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ: საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვის განმავლობაში გასავლელ მანძილს და ავტომანქანის საწვავის ხარჯვის ნორმას 100 კმ გარბენზე.

შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან არცერთს არ აქვს შემუშავებული საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დადგენის მეთოდი. შესაბამისად, გაურკვეველია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება საწვავის ლიმიტების განსაზღვრა.

გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დადგენილი საწვავის ლიმიტები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფაქტობრივად გახარჯულ საწვავის ოდენობას. საწვავის ლიმიტების საჭიროებისა და ანალიზის გარეშე დადგენაზე მიუთითებს მაგალითი, როდესაც ყოველთვიურად ავტომობილი საშუალოდ ითვისებდა დადგენილი ლიმიტის მხოლოდ 25 პროცენტს.

საწვავის ლიმიტის განსაზღვრა განპიროვნებული ავტომობილისთვის შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ფორმულით, რომელიც დაფუძნებულია ავტომობილის მიერ თვის განმავლობაში გასავლელ მანძილზე:

$$M=(A * D) * K$$

M	თვის განმავლობაში გასავლელი მანძილი
A	დღის განმავლობაში გასავლელი მანძილი (მძღოლის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით)
D	სამუშაო დღეთა რაოდენობა
K1	წარმოადგენს მუდმივას, რომელიც გაანგარიშდება შეხვედრების და სამსახურებრივი საჭიროებების გათვალისწინებით ავტომობილის დატვირთულობიდან.
K2	გამონაკლისი შემთხვევებისთვის, ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, K2 შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა სიდიდის, საჭიროების დასაბუთების შესაბამისად, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

დასკვნა

არ არის დადგენილი ავტომობილებზე საწვავის ლიმიტების განსაზღვრის ერთიანი წესი. ასევე არ ხდება საწვავის ხარჯების გაანალიზება და ლიმიტის საჭიროების მიხედვით კორექტირება, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია – სახელმწიფო კომისიას

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, N121 დადგენილებით განისაზღვროს მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაავალდებულებს, შეიმუშაონ საწვავის ლიმიტის გაანგარიშების წესი, რაც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება თვის განმავლობაში ავტომობილის მიერ სამსახურებრივი დანიშნულებისთვის გასავლელ საშუალო მანძილსა და ავტომობილის წვის ნორმაზე.

3.2 ავტომანქანის საწვავით გამართვისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით, საწვავის არამიზნობრივი ხარჯვისაგან თავის არიდების მიზნით, შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფენ საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.³⁵

ორგანიზაციებში საწვავის გაცემა ხორციელდება აგაის სისტემის (ავტომანქანის გამართვის და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა) გამოყენებით – ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური „ჩიპი“ (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე.

ქვემოთ მოცემულ N9 ცხრილში წარმოდგენილია აგაის სისტემით მიღებული ინფორმაციის შაბლონი:

ცხრილი N9.

თარიღი	დრო	მანქანის ნომერი	მოცულობა	ფასი/ლიტრი	რაოდენობა	სადგურის დასახელება	ოდომეტრის მონაცემი	ინვოისის ნომერი	დასახელება
12/31/17	21:26	AAA-001	31.00	2.46	76.26	BAGEBI	0	368747	ორგანიზაცია

აუდიტის ობიექტებში შერჩევით განხორციელდა ავტომობილების ვიზუალური დათვალიერება, რის შედეგადაც გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ჩიპები ავტომობილებზე არ იყო დამაგრებული ან/და მათთვის ადგილის შეცვლა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იყო შესაძლებელი.

ჩატარებული ანალიტიკური პროცედურების შედეგად, რამდენიმე ორგანიზაციაში გამოვლინდა ავტომანქანის მიერ დროის მცირე მონაკვეთში ავზის მოცულობასთან შედარებით, არარეალური ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები, რაც ასევე მიუთითებს საწვავის არამიზნობრივ გამოყენებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში N10 წარმოდგენილია დროის მცირე მონაკვეთში, ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავით გამართვის შემთხვევები:

ცხრილი N10.

ორგანიზაციის დასახელება	ავტომობილის დასახელება	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	საწვავის მოცულობა (ლიტრი)	ჯამური საწვავი	ავზის მოცულობა	სადგურის დასახელება
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	14:37	30	205	78	Nutsubidze
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	15:03	30		78	GPI
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	15:21	30		78	Gelovani 2
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	15:35	30		78	Natsionali
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	15:58	30		78	Dighomi-2
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	16:38	20		78	Gelovani
ოსუ	UAZ 469B	6/7/17	19:19	35		78	Nutsubidze
საგამომიებო სამსახური	SKODA OCTAVIA	29/9/17	16:18	44	136	55	Bagebi
საგამომიებო სამსახური	SKODA OCTAVIA	29/9/17	16:57	20		55	Bagebi
საგამომიებო სამსახური	SKODA OCTAVIA	29/9/17	17:03	20		55	Bagebi
საგამომიებო სამსახური	SKODA OCTAVIA	29/9/17	17:51	40		55	Bagebi
საგამომიებო სამსახური	SKODA OCTAVIA	29/9/17	19:39	12		55	Bagebi
შსს-ს აპარატი	VAZ 2121	23/02/17	17:08	65		103	45
შსს-ს აპარატი	VAZ 2121	23/02/17	16:41	19	45		Akhaltsikhe
შსს-ს აპარატი	VAZ 2121	23/02/17	16:21	19	45		Akhaltsikhe

³⁵ <http://procurement.gov.ge/Konsolidirebuli/xshirad-dasmuli-kitxvebi/rekomendation-agai.aspx> (13.05.2019).

როგორც N10 ცხრილიდან ჩანს, ავტომობილების ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, დროის აღნიშნულ მონაკვეთებში ფიზიკურად შეუძლებელია იმ ოდენობის საწვავის გახარჯვა და ხელახლა ჩასხმა, რაც ფაქტობრივად განხორციელდა. შესაბამისად, ორგანიზაციების მხრიდან საწვავის ჩასხმასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები სუსტია და ხელს უწყობს საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ბენზინგასამართი კომპანიის მხრიდან მოხდეს ავტომობილის საწვავით უზრუნველყოფა, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხოლოდ ჩიპი, მანქანის ნომრის, სერიის და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადამოწმების გარეშე. ჩიპის მარტივად გადაადგილების შესაძლებლობა ქმნის სხვა, არასამსახურებრივი ავტომობილის საწვავით გამართვის რისკს.

შესასწავლი ავტომობილების ავზების საპასპორტე მოცულობები შედარდა ერთჯერადად ჩასხმული საწვავის მონაცემებს (აგაი). შედეგად, 57 ავტომობილზე გამოვლინდა ავზის საპასპორტე მოცულობაზე 15%-ზე მეტი ოდენობით საწვავით გამართვის 261 შემთხვევა.

აუდიტის ჯგუფის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ექსპერიმენტი. შედეგად, შერჩეული 8 ორგანიზაციის 33 ავტომობილიდან, განხორციელდა 17 ერთეული ავტომობილის შემოწმება, საიდანაც 8 შემთხვევაში დადასტურდა აგაის მონაცემებით დაფიქსირებული ოდენობის საწვავის ჩასხმის შესაძლებლობა, 9 შემთხვევაში ვერ დადასტურდა, ხოლო 16 ავტომობილი არ გამოცხადდა შესამოწმებლად. ვინაიდან ექსპერიმენტის დროს, ავტომობილების გარკვეულ ნაწილზე აუდიტის ობიექტებმა ვერ უზრუნველყვეს სრულად დაცლილი ავზების საწვავით გამართვა, მაღალი სიზუსტის მისაღწევად, იგი საჭიროებს დამატებით საექსპერტო-ტექნიკურ პროცედურებს.

დასკვნა

აგაი-ს სისტემის არსებული მეთოდით გამოყენება და ორგანიზაციებში არსებული სუსტი კონტროლის მექანიზმები, სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვაზე ეფექტურ კონტროლს, შესაბამისად, არსებობს საწვავის არამიზნობრივი დანიშნულებით მოხმარების მაღალი რისკი.

რეკომენდაცია – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

სახელმწიფო ავტოპარკზე საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შესყიდვის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები მომსახურე კომპანიის მიმართ:

- 1) მომსახურე კომპანიის მიერ საწვავით გამართვისას მოხდეს ჩიპზე არსებული ინფორმაციის იდენტიფიცირება შესაბამის ავტომანქანასთან;
- 2) აგაი-ს სისტემის მეშვეობით საწვავის შესყიდვისას მომწოდებელი კომპანიის მიერ ჩიპი (მეხსიერების ბარათი) მონტაჟდებოდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი მოხსნა და გადაადგილება მომსახურე კომპანიის ნებართვის გარეშე;
- 3) ხელშეკრულებით დარეგულირდეს ზემოხსენებული მოთხოვნების შეუსრულებლობაზე შესაბამისი სანქციები (ჯარიმა).

რეკომენდაცია – სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციებმა გარკვეული ინტენსივობით განახორციელონ ავტომობილებზე დამონტაჟებული ჩიპების მთლიანობის მონიტორინგი.

3.3 განპიროვნებული ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით,³⁶ ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზანია იმგვარი კონტროლის სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად რესურსების ეკონომიურ, პროდუქტიულ, ეფექტიან, კანონიერ და გამჭვირვალე ხარჯვას. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ და მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით³⁷, მოხელე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება. მოხელის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

აუდიტის მიზნებისთვის გაანალიზდა 34 ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული 735 ერთეული განპიროვნებული ფუნქციის მქონე ავტომობილის საწვავით გამართვის შემთხვევები, როდესაც ავტომობილით მოსარგებლე პირები იმყოფებოდნენ მივლინებასა (როგორც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისე ქვეყნის ფარგლებში) და შვებულებაში.

ანალიზში არ მონაწილეობს მივლინებაში ან/და შვებულებაში გასვლის პირველ და ბოლო დღეს ავტომობილის საწვავით გამართვის შემთხვევები. ასევე, ქვეყნის შიგნით მივლინების მხოლოდ ის შემთხვევებია განხილული, როდესაც ბრძანებებით მოსარგებლე პირის ტრანსპორტირებისთვის გადაადგილების სხვა საშუალება იყო გამოყოფილი.

განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში ყოფნისას, 7 ორგანიზაციაში გამოვლინდა ავტომანქანების საწვავით გამართვის 44 შემთხვევა, რა დროსაც ჩასხმულია 1,633 ლიტრი საწვავი. ორგანიზაციების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პერიოდებში ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების ფაქტს დაადასტურებდა.

განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების ქვეყნის ფარგლებში მივლინებისას, 5 ორგანიზაციაში გამოვლინდა ავტომანქანების საწვავით გამართვის 158 შემთხვევა და სულ ჩასხმულია 5,946 ლიტრი საწვავი, როდესაც აღნიშნული მივლინების ბრძანებებით მოსარგებლე პირის ტრანსპორტირებისთვის გადაადგილების სხვა საშუალება იყო გამოყოფილი.

შვებულებაში ყოფნისას, 10 ორგანიზაციაში – ავტომანქანების საწვავით გამართვის 673 შემთხვევა გამოვლინდა, რა დროსაც ჩასხმულია 23.902 ლიტრი საწვავი (იხ. დანართი N3). საგულისხმოა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია პოლიციელის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება. ასევე, არსებობს თანამდებობრივი რანგები და ისეთი პასუხისმგებლობით დატვირთული თანამდებობები, რომელთა უსაფრთხოებიდან და სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, საჭიროებენ მუდმივად ავტომობილის ფლობას, მიუხედავად მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერებისა. შესაბამისად, გარკვეულ ნაწილში შესაძლებელია საწვავის ხარჯვა ემსახურებოდეს სამსახურებრივ მიზნებს, თუმცა შვებულებაში მყოფი პირისთვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტომობილის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი და საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უფლებას დართავდა გარკვეულ პირთა წრეს ესარგებლათ შვებულების პერიოდში სამსახურებრივი ავტომობილით, არ არსებობს.

³⁶ მუხლები 2, 5, 6, 7, 10, 12

³⁷ 76-ე მუხლის 1, მე-2 და მე-4 პუნქტები.

გარდა ამისა, 13 ორგანიზაციაში, 83 განპიროვნებულ ავტომობილზე სამუშაო დღეებში ფიქსირდება რეგიონებში საწვავით გამართვის 401 შემთხვევა – 15,098 ლიტრის ოდენობით, იმ დროს, როცა ავტომობილით მოსარგებლე პირები არ იმყოფებოდნენ მივლინებაში.

დასკვნა

გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციების მიერ შვებულება-მივლინების პერიოდში ავტომობილის საწვავით გამართვის მიზანშეწონილობაზე კონტროლის მექანიზმები სუსტია, არსებობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია – სახელმწიფო კომისიას და ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

შვებულება-მივლინების პერიოდში თანამშრომლებზე განპიროვნებული ავტომობილების გამოყენების მიზანშეწონილობის კონტროლის მიზნით, ორგანიზაციებმა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო კოორდინაციით, დანერგონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს ქონებისა და სხვა რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. ასევე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმიანობის შეუფერხებლად და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განახორციელონ ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება, გარკვეული გამონაკლისების დასაშვებად, რომელიც შესაძლებელს გახდის და დაადგენს იმ პირთა წრეს, ვინც შეიძლება ისარგებლოს განპიროვნებული ავტომობილით სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების ან მივლინებაში ყოფნის მიუხედავად.

3.4 სამორიგეო ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები

მთავრობის N121 დადგენილებით,³⁸ „სამორიგეო ავტომობილი – ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე“.

სამორიგეო ავტომობილის მიზანშეწონილად გამოყენების დასადასტურებლად ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს სამგზავრო ბარათი, სადაც აისახება ავტომობილით მოსარგებლე პირი, სამსახურებრივი დანიშნულება, გადაადგილების მარშრუტი და ფაქტობრივად გავლილი მანძილი. შესაბამისი კონტროლის უზრუნველსაყოფად, პერიოდულად³⁹ კონკრეტულ ავტომობილზე სამგზავრო ბარათებიდან დაჯამებული მანძილი უნდა დაუდარდეს ავტომობილის ოდომეტრის მონაცემს.

აუდიტის პერიოდში, სამორიგეო ავტომობილების გადაადგილების კონტროლს – შემოწმებული 34 ორგანიზაციიდან, სრულყოფილად მხოლოდ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებდა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ დგება მოთხოვნა სამორიგეო ავტომობილის გამოყოფაზე და მათი გადაადგილება კონტროლდება სამგზავრო ბარათების საშუალებით. შსს-ს აპარატში სამორიგეო ავტომობილების გამოყოფა ხდება სამსახურებრივი ბარათებით, თუმცა ეს პრაქტიკა სრულყოფილად არ არის დანერგილი და არ ხდება სამგზავრო ბარათების წარმოება, ხოლო სხვა შემთხვევებში, სამორიგეო ავტომობილების გადაადგილება ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა სატელეფონო და სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოშობს სამორიგეო ავტომობილის არადანიშნულებით გამოყენების რისკს.

ასევე გამოვლინდა, რომ 735 სამორიგეო ავტომობილიდან, მხოლოდ 107 (14,6 %) შემთხვევაში არიან ავტომობილზე მატერიალურად პასუხისმგებელი მძღოლის თანამდებობაზე მომუშავე პირები. დანარჩენ შემთხვევებში, ავტომობილები ძირითადად მიმაგრებულია სტრუქტურული

³⁸ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

³⁹ მიღებული პრაქტიკაა, მინიმუმ, თვეში ერთხელ.

ერთეულების უფროსებზე და მათ მოადგილეებზე, რაც სამორიგეო ავტომანქანების განპიროვნებულად გამოყენებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილებით სამორიგეო დანიშნულების ავტომანქანებად განსაზღვრულია დაბალი ზღვრული ფლობის (III-IV კლასის) და ეკონომიური (საწვავის მოხმარება 100კმ-ზე არ უნდა აღემატებოდეს 6 – 9.3 ლიტრს) ავტომობილები, თუმცა შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში სამორიგეო დანიშნულებით გამოიყენება დადგენილების ძალაში შესვლამდე შექმნილი მაღალი გამავლობისა და კლასის ავტომობილები.

დასკვნა

სამორიგეო ავტომობილებზე არ არის დანერგილი კონტროლის სათანადო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დანიშნულებით გამოყენებას, რაც ზრდის სამორიგეო ავტომობილის განპიროვნებული ფუნქციით გამოყენების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია - სახელმწიფო კომისიას და ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

სამორიგეო ავტომობილების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე კონტროლის მექანიზმების დანერგვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს შემდეგი:

- J სამორიგეო ავტომობილების გამოყენება ყველა ორგანიზაციაში განხორციელდეს კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც იქნება დასაბუთებული და დადოკუმენტირებული;
- J ორგანიზაციებში განხორციელდეს სამორიგეო ავტომობილების გადაადგილების მონიტორინგი. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა განხილული იქნას სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა;
- J მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესდეს შესაბამისი სანქციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ეფექტური აღსრულება.

3.5 თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე გაწეული საწვავის ხარჯის ნაკლოვანებები

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „თუ პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, ამ სატრანსპორტო საშუალებას საწვავით უზრუნველყოფს სამინისტრო, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით“.⁴⁰

ქვემოთ მოცემულ N11 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წელს პირადი ავტომობილების რაოდენობის და მათზე გაწეული საწვავის ხარჯის შესახებ:⁴¹

ცხრილი N11.

ორგანიზაციის დასახელება	ავტომობილების რაოდენობა	საწვავის ფაქტობრივი ხარჯი (ლიტრი)	სულ ხარჯი (ლარი)
შსს-ს ცენტრალური აპარატი	228	159,947	294,047
სასაზღვრო პოლიცია	156	172,901	366,338
სსიპ – დაცვის პოლიცია	113	105,945	195,689
სსიპ – მომსახურების სააგენტო	25	44,240	80,120
სსიპ – „112“	25	22,161	50,479
სსიპ – შსს-ს აკადემია	72	43,460	99,067
სულ:	619	548,654	1,085,740

თანამშრომლების პირად ავტომობილებზე დაწესებული ლიმიტების ოდენობები შსს-ს ცენტრალურ აპარატში განისაზღვრება მინისტრის მიერ დამტკიცებული ქვედანაყოფის თვიური ლიმიტის

⁴⁰ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 55-ე მუხლის, მე-2 პუნქტი.

⁴¹ შსს-ს ცენტრალური აპარატის მონაცემებში არ შედის ოპერატიული ავტომობილები.

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების უწყებათაშორისი აუდიტი

ფარგლებში,⁴² სტრუქტურული ერთეულის უფროსის პატაკის საფუძველზე, ხოლო სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში ლიმიტების ოდენობას ამტკიცებს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსების პატაკების საფუძველზე.

ბრძანებებსა და პატაკებში არ არის სათანადოდ დასაბუთებული კონკრეტულ თანამშრომლებზე საწვავის ლიმიტის დაწესების საჭიროება და რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები. გამომდინარე აქედან, გაურკვეველია ლიმიტები დაწესებულია თუ არა რაციონალურობის პრინციპის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციებიდან შეირჩა 92 ერთეული კერძო საკუთრებაში არსებული ისეთი ავტომობილი, რომლებიც წლის განმავლობაში რეგულარულად მოიხმარდნენ საწვავს დადგენილ ლიმიტებთან მიახლოებული ოდენობით. აგაი-ს მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა, რომ შერჩეული ავტომობილებიდან 67 (73%)-ზე, საწვავის ლიმიტები გახარჯულია თანამშრომლების (მესაკუთრე) შვებულებაში ყოფნის პერიოდში,⁴³ რაც შეუსაბამოა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

ასევე გამოვლინდა 13 შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე დროს თანამშრომელი სარგებლობს როგორც განპიროვნებული, ასევე პირად ავტომობილზე დაწესებული ლიმიტით.

რეკომენდაცია - სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს

საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, თანამშრომლების პირად ავტომობილებზე საწვავი გაიცეს დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

ბორის მჭედლიშვილი
უფროსი აუდიტორი

ელგუჯა ბეროშვილი
წამყვანი აუდიტორი

ლაშა ლაშია
უფროსი აუდიტორი

თენგიზ რამიშვილი
აუდიტორი

ირაკლი დალაქიშვილი
აუდიტორი

სიმონ კიპაროძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი


თორნიკე კაპანაძე
აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

თარიღი

 29.07.19

 29.07.19.

 29.07.2019

 29.07.2019



 29.07.2019

 29.07.2019

⁴² 2017 წლის 24 იანვრის ბრძანება N27.

⁴³ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია პოლიციელის შვებულების შეწყვეტა და მისი გამოძახება, თუმცა თანამშრომლის არ გამოძახების შემთხვევაშიც ხდება საწვავის ხარჯვა.

დანართები

დანართი N1. აუდიტის ობიექტები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:	
1.1	ცენტრალური აპარატი;
1.2	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომ – სსიპ) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
1.3	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი;
1.4	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური;
1.5	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
1.6	სსიპ – „112“;
1.7	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (შემდგომ – სსდ) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია.
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:	
2.1	ცენტრალური აპარატი;
2.2	სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო;
2.3	სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
2.4	სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
2.5	სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო:	
3.1	ცენტრალური აპარატი;
3.2	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3.3	სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
3.4	სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
3.5	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3.6	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
3.7	სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
3.8	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
3.9	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
3.10	სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
3.11	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
3.12	სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
3.13	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3.14	სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
3.15	სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
3.16	სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

4.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:
4.1	ცენტრალური აპარატი;
4.2	სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
4.3	სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
4.4	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;
4.5	სსიპ – ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი“.
5.	სსდ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური.

დანართი N2.

ორგანიზაციის დასახელება

სახელი, გვარი (მოამზადა)

თანამდებობა

1. სტატისტიკური ინფორმაცია

დებულებით ან/და შინაგანაწესით ავტოპარკის მართვაზე პასუხისმგებელი სამსახური

ავტომობილების რაოდენობა 31.12.2016 მდგომარეობით	
მათ შორის, გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი ა/მ რაოდენობა (2016)	
ავტომობილების რაოდენობა 31.12.2017 მდგომარეობით	
განპიროვნებული ა/მ რაოდენობა	
სამორიგეო ა/მ რაოდენობა	
სხვა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (რაოდენობა)	
მათ შორის, გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი ა/მ რაოდენობა (17)	
წლის განმავლობაში შესყიდული ა/მ რაოდენობა	
წლის განმავლობაში ჩანაცვლებული ა/მ რაოდენობა	
ექსპლოატაციაში და გამართულ მდგომარეობაში მყოფი ა/მ-ის რაოდენობა, რომლებზეც არ არის დადგენილი საწვავის ლიმიტები	

2. საკითხი

საწვავის გაცემის პროცესის აღწერა

შენიშვნა: მიეთითოს ორგანიზაციაში საწვავის გაცემისას დანერგილი მეთოდი (მაგალითად, ჩიპებით ხდება, ტალონებით, კომბინირებულად თუ სხვ.).

შენიშნულოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ნაწილზე, სადაც დანერგილია კონტროლის მექანიზმები (საწვავის გაცემის ეტაპზე), მოხდეს მათი აღწერა, არსებობის შემთხვევაში მიეთითოს და დაერთოს კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი.

3. საკითხი

საწვავის მოხმარების აღრიცხვის პროცესის აღწერა

შენიშვნა:

№ მიეთითოს ორგანიზაციაში საწვავის მოხმარების აღრიცხვისთვის დანერგილი მეთოდი (მაგალითად, წარმოებს თუ არა ა/მ ოდომეტრების (გავლილი მანძილის) კონტროლი, იწარმოება საგზურის ფურცლები, აღრიცხვა ჟურნალში და ა.შ.

№ მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ნაწილზე, სადაც დანერგილია კონტროლის მექანიზმები. მოხდეს მათი აღწერა, არსებობის შემთხვევაში მიეთითოს და დაერთოს კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის დამოწმებული ასლები.

3.1	ოდომეტრის მონაცემები
	რა ინტენსივობით ავსებენ ოდომეტრის ჩვენებებს (დღე, კვირა, თვე)
	ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული მონაცემების შეგროვებასა და სისწორეზე
	წლის განმავლობაში თუ არსებობს ჩიპის გაუმართაობის ან შეცვლის შემთხვევები (ავტომანქანის ნომრის მითითებით).

შენიშვნა: შეივსება იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციაში წარმოებს ოდომეტრის მაჩვენებლების აღრიცხვა.

3.2	საწვავის ტალონების შენახვა/განკარგვის პროცესის აღწერა

შენიშვნა: შეივსება იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ტალონური სისტემა.

4. საკითხი

საწვავის ჩამოწერის (ფაქტობრივ ხარჯში აღრიცხვა) პროცესი

შენიშვნა:

- № მიეთითოს ორგანიზაციაში საწვავის ფაქტობრივ ხარჯში ასახვისთვის არსებული დოკუმენტაცია, ვის მიერ მზადდება, რა გზას გადის ბუღალტერიაში მისვლამდე, სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია თუ მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში.
- № მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ნაწილზე, სადაც დანერგილია კონტროლის მექანიზმები. მოხდეს მათი აღწერა, არსებობის შემთხვევაში მიეთითოს კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

5. საკითხი

საწვავის ლიმიტების განსაზღვრის პროცესის აღწერა

შენიშვნა:

- № მიეთითოს ორგანიზაციაში საწვავის ლიმიტების დაწესების მეთოდი, ლიმიტის განსაზღვრის საფუძველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, მოხსენებითი ბარათი, წერილი, კალკულაცია, წინა წლის გამოცდილება და ა.შ.)
- № აღიწეროს ის პოლიტიკა, რაც არის დანერგილი ორგანიზაციაში ლიმიტების განსაზღვრისას.

6. საკითხი

ორგანიზაციაში სამორიგეო ავტომობილით სარგებლობისთვის დანერგილი პოლიტიკა

შენიშვნა:

- № მიეთითოს ვისზე ხდება სამორიგეო ავტომობილების გადაცემა (მატერიალურ პასუხისმგებლობაზე მ/წ აქტების გაფორმება).
- № როგორ ხდება სამორიგეო ავტომობილების გადაადგილების კონტროლი (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დგება მოთხოვნა, თუ კი – რა ფორმით).

ინფორმაციის მომწოდებელი პირები

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თანამდებობა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თანამდებობა

დოკუმენტის შედგენის დაწყების თარიღი:

2019 წ.

დოკუმენტის შევსების დასრულების თარიღი:

2019 წ.

დანართი N3.

ობიექტის დასახელება	შვებულება		მივლინება ქვეყნის შიგნით		მივლინება ქვეყნის გარეთ		სულ	
	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	საწვავით გამართვის შემთხვევა	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	საწვავით გამართვის შემთხვევა	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	საწვავით გამართვის შემთხვევა	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	საწვავით გამართვის შემთხვევა
	შსს – სსიპ მომსახურების სააგენტო	9,408	259	4,085	110	188	6	13,681
შსს – ცენტრალური აპარატი	10,205	292	1,452	38	785	18	12,441	348
შსს – სსდ სასაზღვრო პოლიცია	1,872	53	180	4	-	-	2,052	57
შსს – სსიპ – აკადემია	878	31	150	5	30	2	1,058	38
შსს – სსიპ – „112“	489	11	79	1	-	-	568	12
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	416	12	-	-	-	-	416	12
სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	342	5	-	-	-	4	342	9
სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	-	-	-	-	296	8	296	8
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	176	7	-	-	79	-	255	7
სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	-	-	-	-	205	5	205	5
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი	85	2	-	-	51	1	136	3
შსს – სსიპ – ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	31	1	-	-	-	-	31	1
სულ	23,902	673	5,946	158	1,633	44	31,481	875

დანართი N4.

მოთხოვნა	მე-4 კლასი	მე-3 კლასის მსუბუქი ავტომობილი	მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	მე-2 კლასის მსუბუქი ავტომობილები
ძრავის მოცულობა არანაკლებ	1	1.1	1	1
ცხენის ძალა არანაკლებ	68	77	82	105
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3500	3850	3665	4483
სიგანე არანაკლებ	1595	1695	1600	1760
სიმაღლე არანაკლებ	1470	1455	1575	1445
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ /ზე არა უმეტეს	6 ლიტრი	8 ლიტრი	9.3 ლიტრი	8.5 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი ელექტრომუშები	NCAP (ევროქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ, წინა ორი	მინიმუმ, წინა ორი	მინიმუმ წინა ორი	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში	მინიმუმ, 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა		ABS	ABS	ABS
აუცილებელი მოთხოვნა			4x4	

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების უწყებათაშორის აუდიტი

მოთხოვნა	მე-2 კლასის მადალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	პირველი კლასის მსუბუქი ავტომობილები	პირველი კლასის მადალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები	სპეციალიზებული ავტომობილები
ძრავის მოცულობა არანაკლებ ცხენის ძალა არანაკლებ	1.4	1.5	2.3	2.2
გადაცემათა კოლოფი	120	154	187	102
სიგრძე არანაკლებ	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგანე არანაკლებ	4223	4820	4623	5000
სიმაღლე არანაკლებ	1765	1825	1885	1755
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ /ზე არა უმეტეს	1570	1455	1760	1760
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ /ზე არა უმეტეს	10.3 ლიტრი	15.5 ლიტრი	16 ლიტრი	10.3 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	5 წელი ძირითად აგრეგატებზე, 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე	3 წელი ძირითად აგრეგატებზე ან 100 000 კილომეტრი
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის წებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)	
ელექტრომუშები	ოთხივე	ოთხივე	ოთხივე	მინიმუმ, წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ, 4 უსაფრთხოების ბალიში	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში	მინიმუმ, 4 უსაფრთხოების ბალიში	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინი ს ელ. გათბობა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინი ს ელ. გათბობა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4x4		4x4 მექანიკური ან ავტომატური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით	4x4 მექანიკური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა		სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი, საჭის სიმაღლის მარეგულირებელი, სარკეების ელ. რეგულირება	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი, საჭის სიმაღლის მარეგულირებელი, სარკეების ელ. რეგულირება	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა			სარკეების ელ. რეგულირება	სარკეების ელ.რეგულირება

დანართი N5.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ორგანიზაციების ჩამონათვალი, სადაც 2017 წელს განპიროვნებული ავტომობილების რიცხოვნობა არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს:

ორგანიზაციის დასახელება	ფაქტობრივი რიცხოვნობა	დადგენილებით განსაზღვრული	სხვაობა
შს-ს ცენტრალური აპარატი	214	18	196
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	47	6	41
მუნიციპალური განვითარების ფონდი	41	3	38
შს-ს სსიპ – მომსახურების სააგენტო	105	72	33
შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	19	3	16
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი	16	13	3
სულ:	442	115	327

შენიშვნა: ცხრილში არ არის მითითებული სასაზღვრო პოლიციის მონაცემები, ვინაიდან ეს ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, თუმცა სასაზღვრო პოლიციაშიც ვიქსირდება ანალოგიური სახის ნაკლოვანებები.

დანართი N6.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ორგანიზაციათა ჩამონათვალი, სადაც 2017 წელს სამორიგო ავტომობილების რიცხოვნობა არ შეესაბამებოდა დადგენილების მოთხოვნებს:

ორგანიზაციის დასახელება	ფაქტობრივი რიცხოვნობა	დადგენილებით განსაზღვრული	სხვაობა
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	235	201	34
სსიპ – „112“	25	9	16
სსიპ – ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	9	2	7
სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	12	6	6
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი	9	7	2
შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	8	5	3
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	16	13	3
შს-ს სსიპ – მომსახურების სააგენტო	15	13	2
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი	7	6	1
სულ:	336	262	74

შენიშვნა: ცხრილში არ არის მითითებული სასაზღვრო პოლიციის მონაცემები, ვინაიდან იგი განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას, თუმცა სასაზღვრო პოლიციაშიც ვიქსირდება ანალოგიური სახის ნაკლოვანებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38